

რედაქცია


გოლოვინის პროსპექტზე თავ. მურან-ბა-
ტონის სახლში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში,
ქუთაისში: ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გა-
რეშე მცხოვრებთა ადრესი: Вѣ. Тиф. лист,
въ редакцію «Дროება»

«დროების» ფასი

მთელი წლისა... 9 მ. სამის თვისა... 3 მ.
ქვესის თვისა... 5 მ. ერთის თვისა... 1 მ.



გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდის ასობით — ასობე ყურადღებულად
მოაგროვით ასობე ნაწილები. გამოცემის
როგორც ასობით სტრიქონზე რაოდენობა.
თუ საქმიანობა მოითხოვს, რედაქცია გაას-
წორებს და შეამოკლებს დასაბუთებლად გამოცემა-
ნილ წერილებს. დაუბეჭდვად წერილებს რე-
დაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და
სხვა ენებზე.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შური

მიიღება ხელის-მოწერა გა-
სეთ

„დროებაზე“

ნახევარ წლით ჰირველის
ივლისიდან წლის დამლევამდე.
ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისა-
თვის ოთხი მანათი.

ივნისის ჰირველის რიცხვების
ნომრები რედაქციაში აღარ არის.

«დროების» ნომრები თითო
შურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღა-
ზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამ-
ბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დე-
პოში, ალალო თუთაყვთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

ქუთაისის ბანკის გამო.

თბილისი, 14 ივნისი.

საერთო სენი ქართველებისა ეს
არის, რომ ყოველს საზოგადო საქ-
მეს ჯერ გულ-მხურვალედ მოვეჭი-
დებით, ექადაგებთ სიტყვით, თუ წე-
რით,—ეს იმისთანა საქმეა, რომელ-

«დროების» ფელტონი 15 ივნისი.

სოფლის კულტურის.

მდიდარია ჩვენის პროვინციის ბუ-
ნება. შევლავთ უხვია, ყველაფრით
შემკულია. შალაქელებს იქნება ჯავ-
რიც მოსდიოდეთ ჩვენს შემკულ
ტყეებზე, შემუშავებულ ვენახებზე,
გაჭიმულ მინდვრებზე, წყლებზე
და სხვ., მაგრამ აქ დიდი შესაშური
არა არის-რა. ეს ბუნების სიმდიდრე
ჩვენთვის ამაოა. ღია, მართალია
ტყე უხვად გვაქვს, მაგრამ სიცივით
კი ვიხრცებით, ვენახებიც კარგი გვაქვს,
მაგრამ ჩვენი წითელი ღვინო სხვას
უხარბან და ჩვენგან ნამაგდარ თეთრ
პურს სხვა გეტაცებს. ზერჩება საზრ-
დოდ ქულუკანა მჭადი. ნეტავი ისიც
საკმაოდ იყოს, თორემ ვინ ინა-
ღვლებს!

აბა, ახლა კარგად დააკვირ-
დით ჩვენის პროვინციის ცხოვრებას,
რამდენ რიგი სხვა-და-სხვა სურათი
შენიშნათ: აქ შეხედებით თქვენ ყვე-
ლა ჯურის ხალხს სხვა-და-სხვა გვა-
რის ფორმებით, შინაარსით, მიმარ-

ხედაც დამყარებულია ჩვენი მომავა-
ლი, ექადაგებთ და გვეჯერა კიდევ
ჩვენი ქადაგება,—მაგრამ გადის დრო,
გვიტრუდებია იმედები, მალე ვგრილ-
დებით და რაკი ჩვენი განზრახვა და
წადილი არა სრულდება, ამ საზოგა-
დო საქმის გამართვით მიემართვით
ხოლომე საყვედურებს, თქვენ რომ არა
ყოფილყავით, ვგ საქმე ისე და-
ტრიალდებოდა, რომ ჩვენს ქვეყანას
ფეხზედ წამოაყენებდაო.

იქნება მაგალითები მოგვთხოვთ
ამის დასამტკიცებლად. აი, მოგვის-
მინეთ:

ზაიხსნა თეატრი და პირველს ორ
წელიწადს მაყურებლები თავ-პირს
ამტრუდენ ერთმანერთს ბილეთების
შოვნის დროს. ბაზეთებში და ქურ-
ნალებში ცხარედა ექადაგობდით: ეს
კრთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც
ჩვენს დედა-ენას საჯაროდ ადგილი
აქვს დათმობილია და ამიტომ....
(გულში ასე ჰფიქრობდა ალბად ამის
დამწერი) თეატრზედ არის დამყარე-
ბული ჩვენი ბედი და უბედობაო.

მეორე მაგალითი: დამტკიცდა წეს-
დება წერა-კითხვის საზოგადოებისა
და მისი პირველი სხდომა პარლამენ-
ტის სხდომასა ჰგავდა. აქ იყვნენ სამ-
სახურში დაწინაურებულნი პირნი,
სასულიერო წოდების უმაღლესნი
წარმომადგენელნი და თითქმის ყვე-
ლა მწერალნი და მწერლობის თანა-
მგრძობებელნი. საითაც არ მიხედაე-
დით, ყველა ამბობდა: ხუმრობა!

თულებით, წადილით და თვისებებით.
ძველად უფრო ღარიბი ყოფილა ჩვენი
პროვინცია ამისთანა ხალხით, რო-
გორც მარწმუნებს ჩემი ერთი ნაც-
ნობი, მოხუცებული შანკო, მაგრამ
ბოლოს დროს, რაკი სხვა ნიაგმა
დაპკრა ჩვენს ქვეყანას, სხვა-და-სხვა
ჯურის ხალხმაც იმატა. მინ ჩა-
მოსთვლის რამდენ ნაირი ბოროტ-
მოქმედობა სუფევს ჩვენს პროვინ-
ციაში. ბევრნი არიან დაწიოკებულნი
და აღშფოთებულნი ამ ბოროტ-მოქ-
მედებებით და ყველანი, ვისაც რო-
გორ მოუვა თავში, გაიძახიან ამ ბო-
როტების მოსაბოძებლად და თავისებურ
საშუალებებსაც გვიხატავენ, მაგრამ
საუბედუროდ ბოროტებას სიტყვიე-
რის მუქარისა და ქადილისა არ ეშო-
ნიან; ის არხენად ღრმად ფეხს
იდგამს ჩვენში და საათობით იზდება.
აქ ჩემს თავს პასუხი ვერ მივეცი და
დავდექ ღვთის იმედებზედ: ყოველად
მოწყალე ღმერთი თავის გაჩენილს
უნუგეშოდ არ დაავდებს, ფიქრობ-
დი მე, იმედს ნუ დავკარავთ...

ამ დროს კარები გაიღო და შე-
მოვიდა ჩემს გაცარცულ ოთახში ჩე-

მთელი სამინისტრო ჩაგებარდა გა-
ნათლები, აბა ეცადოთ და ორს
წელიწადზედ ჩვენს ქვეყანას ფეხზედ
წამოვაყენებთო.

ეს ამბავი იყო ამ სამის-ოთხის
წლის წინად. შილა თეატრიც მოგე-
ბებრდა, წერა-კითხვის საზოგადოე-
ბაც და იქნება მალე სხვა გამოგნა-
ხობთ რამე, რომელზედაც დავამყა-
რებთ, რასაკვირველია დროებით,
სრულს ჩვენს იმედსა და მომავალ
ბედსა.

თეატრზედ და წერა-კითხვის საზო-
გადოებაზედ მხოლოდ გაკვირთ მო-
ვიხსენეთ: ჩვენ გენდოდა მესამე მა-
გალითი უტოლოდ არ დაგვედო და
ჩვენი საზოგადო საქმეების საერთო
ბედი ნათლად დაგვეჩვენებინა.

ეს მესამე მაგალითი არის ბანკები
და განსაკუთრებით ქუთაისის სააღ-
გილ-მამულო ბანკი.

მინ არ იცის რა კბეებს ვაშენებ-
დით ჰაერში ჩვენის ბანკების დაარსე-
ბის დროს: მეტრეობაც უნდა გაე-
უმჯობესებინათ მათ, კრედიტიც გაე-
წვდებინათ, ფულიც ჩალის ფასად
გაენადათ, სწავლა-განათლებაც მოე-
ფინათ, არხები და რუები გაეყვანათ,
ერთის სიტყვით ოქროს ზენებს უქა-
ცებულ ოცნებას, და ეხლა, როდე-
საც ბანკებმა ეს იმედები გაგვიტრუეს
და მხოლოდ თითო, თუმცა ჯერედ
პატარა, მაგრამ ძვირფასი სკოლა
დაკვიფრდნენ, მხოლოდ ფულის ცო-
ტა უფრო იათის სარგებლით სესხება

მი მეგობარი ნ—ლ—. როდესაც
ფუაშვ მას ეს ჩემი ოცნებები, გაი-
ლიმა და მითხრა: მართალია, ღვთის
იმედზედაც უნდა ვიყოთ, მაგრამ გა-
მოუხიზლებაც არ გვაწყენს, განა შე-
საძლებელია, კაცმა არაფერი დასთე-
სოს და დიდ მოსავალს კი მოელო-
დეს? ჩემო მეგობარო, ჯერ კიდევ
ჩვენს ხალხს იმის გაგება არ უნდა,
რომ განქრნენ დრონი სასწაულებისა:
ეხლა არც მანანა ცვივა ციღან, არც
ყვავებს მოაქვთ საზრდო ხალხისთვის,
ყველა თვითონ კაცმა უნდა მოაპო-
ვოს საზრდოც, სამოსელიც და თუ
ნათქვამია დიდის მასწავლებლისაგან:
«კმა არს დღისა მის სიბოროტე თვი-
სი» სიტყვით-სიტყვად არ უნდა მი-
ვიდოთ, როგორც ჩვენი წითელ-
წერა გვიხსნიდა ხოლმე... ჯერ
არ დავსრულებინა ჩემს მეგობარს
თავისი აზრი, რომ გაიღო კიდევ კა-
რები და შემოვიდა ჩვენთან გლეხი
ბ—ტე. მამარჯობა თქვენი ჯეელებო,
შემოგვიხანა და გამოგვიშვირა ჩამო-
სართმევად თავის დამწერი, კორძე-
ბიანი, ტლანქი მრავალ-მამარჯალი
ხელი.

შეგვადლებინეს,—ეხლა ბანკის მო-
წინააღმდეგენი, ანუ როგორც თი-
თონ ირქმევენ, მოწინააღმდეგენი ბან-
კის გამგეობისა, აღიკურნენ სრულის
თავიანთ მჭევრ-მეტყველებით და უსყე-
ნებლივ ჰქადაგებენ: ჩვენმა ბანკებმა
ის სარგებლობა ვერ მოიტანეს, რა-
საც მოველოდით, ეს იმიტომ რომ
წესდება არ ვარგა, არ ვარგა ბანკის
გამგეობაო. შესცვალეთ წესდება, გამ-
გეობის წევრებად სხვანი დასნით და
მაშინ ნახათ, რაც იქნებაო.

ღიალაც ვნახათ და ვნახათ იმას,
რომ იქნება ამ ცელილებამ მიკროს-
კოპიულად კი იმოქმედოს ბანკის საქ-
მეებზედ, მაგრამ მაინც კიდევ არც
ერთი იმედი არ შესრულდება, რაც
კი ეხლაც შეუსრულებელი რჩება.
ბანკის მოწინააღმდეგეთ ავიწყლებათ,
რომ როგორც უნდა შესცვალონ
წესდება, მაინც ბანკი დამ ფულის ამ-
ლებლებს ბანკი ააეკუნად ვერ დაუდ-
გება და ვერ ეტყვის თქვენი ჭული
ამა-და-ამ საქმეზედ მოიხმარეთ და
უბრალოდ გაფლანგვა არამც და
არამც არ გაჰბედოთო; როგორც
უნდა შესცვალონ წესდება, მაინც
ბანკი იძულებული იქნება თავ-თავის
დროზე მამულების გასყიდვა დანიშ-
ნოს, თუ სესხის გამტანნი ვადაზედ
ფულის შეტანას არ იფიქრებენ; რო-
გორც უნდა შესცვალონ წესდება,
მაინც მამულები ბოლოს იმათ დარ-
ჩებათ, ვინც უფრო მომჭირნეა,
ვინც უფრო მშრომელია.

ჩვენ გვეჯერა რომ მოწინააღმდეგე-

—ამ დროს საით გივლია, ბ—ტე,
კვითხეთ ჩვენ.

—მე, თქვე დალოცვილებო, განა
გლებ-კაცს საქმე გამოვლევა? შიღლი
ხარი დავკარგე მე და ხუთმა კიდევ
სხვა ჩემმა მეზობლებმა და იმათ სა-
ძებნელად ვეთრიე, სწორედ ლეკია-
ნობა არის თქვენმა მზემ. თქვენი
მტერი, თუ უწინდელსავე შემოგვე-
ჩვიენ აშურბანში პუ—ლე—
ოსები, ხოლაც ვეღარ გავაგდებთ, ამბო-
ბენ ახალი «ნაჩალნიკი» მობძანდაო.
აქებენ, ჯერ კი არა ვიცით-რა. ნე-
ტავი არ იქნება თქვენის სიკოცხლით,
პატარა მოწყალის თვლით შემოგვე-
ხედოს, სასტიკი გამოძიება მოახდი-
ნოს და იმისთანა ბოროტ-კაცების
სინილა გაწყვიტოს, თორემ ისე გა-
გვანანავებენ, რომ იქნება ერთი გუ-
თანიც ვეღარ შეიბას მთელ მეტეხში...
სარცვა-გლეჯა და ქურდობა თვით
სოფლებშივეა. მამწვილო, ვისაც ემა-
ლაზიები ჩაებარეთ, თვლით აღარა
დაგვანახვეს-რა. ამოდენა სოფელ-
ში განა ორმოც კი აღზედ მეტი არ
უნდა იყვეს. ჩვენ ყველამ კარ-
გად ვიცით, ვინ ან როგორ გაქრო



ნი მართლა დარწმუნებულნი არიან, თუ წესდება შეიცვალა, ყველაფერი შეიცვლება, მაგრამ ეს დაუფიქრებლობით მოსდით და ცოტადენი ჩაფიქრება თვალს აუხელოს მათ და ამოუფხვრის გულიდამ იმ უსაფუძვლო იმედებს, რომელთაც ისინი ბანკების დაარსებიდამ მოელოდნენ. ბანკი წერილი რამ მოელონა ჩვენს საზოგადოებრივებაში და ვინც მის წესდების შეცვლაზედ ამყარებს ჩვენის საზოგადოების გამობრუნებას, ის მოგვაგონებს ერთს სარდალს, რომელსაც ეგონა, თუ ჩემს ჯარს სხვა სისტემის თოფები დაეღრიგე, მხნეობა ერთი ათად გადაექცევათო.

ძიდე გავიმეორებთ, რომ წესდების შეცვლას შეუძლიან ცოტადენი გავლენა იქონიოს, მაგრამ არა ისეთი, რომ ამის გულისათვის ღირდეს თავების მტრევა, საზოგადოებაში ორს პარტიას შუა შუღლისა და მტრობის ჩამოგდება და ადმინისტრაციის მოწვევა, — ჩვენს საზოგადო საქმეებში გავრით, თორემ დავიღუბებით, გავიყვებითო; და ეს ყველაფერი თითქმის ყოველ-წლიური მოვლენაა მუთისის ბანკების კრების დროს.

როგორც ეტყობა, ბანკის წესდებისა და გამგეობის მოწინააღმდეგეთ სრული იმედი დაუკარგავთ საზოგადო კრებებზედ მოქმედებისა, რომ ადმინისტრაციისაგან მოვლიან შევლასა, დახსნასა და ამ გვარი რწმენა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მათ არა ჰქონიათ უბრალო წარმოდგენა საზოგადოების ცხოვრების მიმდინარეობისა;...

ან რა დააშავეს იმისთანა მუთისის ბანკის კრებებმა, ბანა არა, მმართველობას ზოგიერთა ცოდვები მიუძღვის, მაგ. ის რომ დამფასებლების არჩევის უფლება თითონ

ეს პური, მაგრამ სოფელს პატრონობა უნდა. მალაზიონერები სჭამენ, მოხელეებსაც არა აკლიათ-რა. აბა, სამართალი ვის მოგკითხვოთ?! ნეტავი ერთი კეთილ-სინიდიანი პირი დაინიშნოს ნაჩაღნიკმა გამოსაძიებლად, თუ რა იქნა ამ თხუთმეტი წლის ან თავნი ან სარგებელი იმ შეგროვილი პურისა... მართი სათხოვარი კიდევა აქვს ჩვენ გლენ-კაცს ახალ ნაჩაღნიკთან, მაგრამ დარჩეს:

— რა, ტა-ტე, რა? ბანა ერთის მეტი სათხოვარი არა გაქვთ? მკითხეთ ჩვენ. — არა, სათხოვარი ბევრია, მაგრამ ჯერ ის აგვისრულდეს და!.

— მაინც?

— აი, ე ჩაფრების ბოროტ-მოქმედებებზედ ვამბობ. როგორ გეტანჯამენ ე წყეულები, როცა ჩასაფრდებიან სოფლებში, სულ «გვაკამეთ, დაგვალენეთ» გაიძახიან. არ გვანარჩუნებენ ღვინოს, ქათამს, ინდოურს, კვერცხებს. ჯანი გავარდეს, თვითონ სჭამონ, ე თან წაღება რაღა ღვთის რისხვა არის. თითო ჩაფა-

აულია ზედამხედველ კომიტეტთან ერთად და ეს საშუალება კი საშიშ იარაღს შეადგენს სხვა-და-სხვა პირთა ღირსების დაფასებაში და კიდევ ის, რომ შეიღის დამფასებლის დაყენებას დასთანხმდა, მაგრამ განა ეს იმისთანა ცოდვია, რომ თითონ საზოგადოებრივებს მისი გასწორება არ შეეძლოთ. ნურაინ იტყვის, — საზოგადოებრივება მართლა ისე თვალზე-აბმული იყო, რომ კარგისა და ავის გარჩევა არ შეეძლო, თუ კი რიგიანი ჩამკონებელი ეყოლება და ეს წრეულისავე დამტკიცა მუთისის კრებამ, როდესაც დამფასებლების რიცხვი შეიღიდა მოხზედ ჩამოიყვანა.

მათაგან ამ გძელს საუბარს მკითხველთან იმ ნატვრით, რომ ჩვენს საზოგადოებას შესძლებოდეს ღიღისა და პატარა საქმის ერთმანერთში გარჩევა და წესიერის ალაგის და მნიშვნელობის მიცემა და რომ ზოგიერთა ჩვენს საზოგადო მოქმედო პირებს კარგად გასტყვევოდეთ თავში ის საანბანო კეშმარიტება, რომ საზოგადოაზრის აღზდა და განვითარება შეუძლიან თვით საზოგადოებას..

P. S. ძორეკტურული შეცდომა. ბუშინდელს მოწინავე წერილში პირველის სვეტის ბოლოზედ შეცდომით დაბეჭდილია «თვით საუკეთესოდ განვითარებულ ქვეყნებშიაც ჯერ ჯერობით ვერ გამოუყვლივიათ ნამდვილი მიზეზი ამ სენისა». უნდა იყოს: «თვით საუკეთესოდ განვითარებულ ქვეყნებშიაც ვერ უზოგენიათ ნამდვილი წამალი ამ სენისა და სხვ.»

ღვეანდელს ნომერში მკითხველი წაიკითხავს კორესპონდენციას მართლიდამ, რომელშიაც ნაამბობია ზოგიერთა სისხლის-მწოველები როგორ სარგებლობენ ცრუ-მორწმუნეობით და ხალხის საცარცველად ახალ-ახალს

რი კიდევ ათ ქათამს და ნახევარ კოდ ქერს წაიღებს ხოლომე სახლში თითო ჩასვლავედ. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ჩვენი ცემა-ტყემა. ძაცის შებრალება არა აქვთ ამ თვალ-სისხლიანებს. ნეტავი იცოდეთ რაზე? — ჩემ ცხენს რატომ მალე ბალახი არ გაუთიბეო, გამოურეცხავ დოქით რად მომიტანე ღვინო? მოგვდგებიან, ბატონო, მათრახით ისე გეცემენ, როგორც ხარებს. მიჩივლოთ, ჩვენვე გავამტყუნებენ, ვართ ესე. რა გაცნოთ ახლა, მოხსენე: ამას წინად მე და ჩემმა მეზობელმა ქალაქში ურმით შევა ჩავიტანეთ. იარაღის თავში როგორც ავედით ი დიდ სკოლათანა, დადგა ჩემი მეზობლის კამეჩი. შუთუქა ორიოდ სახრე, არ მიღის, კიდევ უთუთქა — ამ დროს მოვარდა ვიღაც კაცი, სტაცა ხელი ამ ჩემ მეზობელს და მითრევს რაც ძალი და ღონე აქვს, არ ვიცი კი სად? რა გინდა, კაცო, ჩემგან? ეუბნება ამ უცხო კაცს. როგორ თუ რა მინდა შენე ყურუმსალო, პირუტყვის რადა სცემ ვგრე უღმერთოდ. შენ არ იცი, რომ — რაღაცა ობჩესტეო

საშუალებებსა ხმარობენ. მკითხვება აქამდის თვითონ იყენებდნენ თავიანთ «მეცნიერების», ესლა სხვების მწველ ფურად გამხდარან. ამ შემთხვევაში მღვდლებს ნამდვილი მოძღვრობა გამოუჩინიათ, სოფლიდამ გაუძევებიათ ცრუ მუნჯი მკითხვეი სასამართლოს შემწეობით და ციხეშიაც ჩაუსმეინებიათ. ჩვენ საზოგადოდ არ თანაფერძნობთ მკითხვეების სასამართლოში წაყვანას და იქ ხალხის წინაშე მოწმობის გვირგვინის დადმას, რადგან ამით ხალხი უფრო იჯერებს მათს სასწაულ მოქმედებას, მაგრამ იმისთანა შემთხვევაში კი, რომელი შემთხვევაც კორესპონდენციისა ნაამბობი, სასამართლო კარგი წამალია, თუ მეტადრე მოსამართლეს მოხერხება იმდენად უჭრის, რომ ცრუ-მუნჯს წამლის შიშით ენა ამოადგმეინოს, ხალხის თვალში პატივსაცემი პირი სასაცილოდ გამოიყვანოს და საიღუმლოების ზენარი ახადოს იმ სალანანა ხალხს, რომელიც არავითარს ღონისძიებას არა ზოგვენ უბრალო ხალხის ისედაც მსუბუქ ჯიბის დასაცარიელებლად.

სადაც ძალა და ჩაგონება არ გასჭრის, იქ საუკეთესო წამალი სასაცილოდ აგდება.

ახალი ამბები.

პრიკაზის მაკერალ თავდაზნაურობას კიდევ უნდა ძველი იმედები გაეღვიძოს: ჩვენ შეეიტყეთ, რომ პრიკაზის ვალის პატივებს უმაღლეს სჭერებში წყალობის თვლით უტკერიან და ჭინანსთა მინისტრსაც ნამძანები აქვს, რითაც კი შეიძლება შეღავათი მისცეს პრიკაზის მოვალეებს.

როგორც რუსული გაზეთები მოგვითხრობენ, ხმა ისმის რომ სა-

სტევა რუსულად — იმისაგან დაშლილია პირუტყვების ცემა?!.. მსლოც ცხენში ჩაგასმეინებ! ბატონო, რად უნდა ჩამასმეინო?.. ლმერო, რჯული, ზორი-ჯვარი, ახალიჯვარი, არ გამიწყრეს ვინ «ობჩესტეოა», არ ვიცოდე! აბა, საიდგან მეცოდინებოდა? — რან ამითანა მადლიანი ხალხი ყოფილხართ, უთხრა თამამად ჩემმა მეზობელმა და პირუტყვებს უუთხილდებით, რატომ ე ჩვენ მეტყველ ხალხზედ კი არა გაქვთ ყურადღება მიქცეული, თქვე დალოცვილებო, ჩვენ გლენ-კაცს უფრო ღვთის სული არ გვიდგია? რატომ მაგითანა «ობჩესტეოს» ჩვენი სოფლებისკენ არ გააკეთებთ. მალეწია მკლავები, ბეჭები და უთხრა: აბა შემომხედე რარვი დაქრელებილი მაქვს მათრახებით ჩვენი ჩაფრებისაგან. მაშინ კი იკადრა თავის დაწებება. დიდ სამადლოებელ საქმეს იხამს, რომ მოიწეროს ნაჩაღნიკმა განკარკულება სოფლებში, თუ როგორ უნდა დაეუხედეო ხოლომე ჩაფრებს, ნება აქვთ თუ არა დააწიოკონ ჩვენი ცოლ-შვილი, ქვრივი და ოხერი წითელ-ღვინის და ციე დედ-

შუალო სასწაულთქმობის უთხოვსებს აღეკრძალებათ ამას იქით თავიანთ სასწაულთქმობებში მიღება სხვა სასწაულთქმობიდან გამორიცხულ შეგირდების, ვიდრე დაწერილებით ცნობებს არ შეჰკრეფენ იმათზედ და არ შეიტყობენ, — არის თუ არა რაიმე იმედი მათის ყოფა-ქცევის გაუმჯობესობისა.

იმავე გაზეთების სიტყვით მთავრობას განზრახვა აქვს ზოგიერთა მახრები ძაკვაზიაში, რომელნიც გუბერნიის ქალაქებზედ შორს არიან, გუბერნატრად იქმენ გადაკეთებულნი.

მაზეთი «ძასი» ამბობს, რომ ბაქოს კეროსინს თან-და-თან მუშტრები უხდება, ასე რომ იმისთანა კაპიტალისტებიც კი შედიან, რომელთაც აქამდის მართლამერიკიდამ გამოჰქონდათ კეროსინი და ესლა კი იქ ვაჭრობას თავი დაანებეს და ბაქოს მომართესო. მაგ. ერთ ბერძენს არვანტიდისს პირველშივე ასი ათასი ფუთი კეროსინი უყიდნია ბაქოში და ბათუმში ბევრით ამაზედ მეტი.

რუსეთის ექიმებს შეუდგენიათ საზოგადოება, რომელსაც განზრახვა აქვს გაიციოს ის წამლები, რა წამლებსაც ხალხი ხმარობს და შემდეგში ყველა ეს ცნობები ერთ წიგნად გამოსცეს. თუ ამ ექიმებმა ჩვენი კარბადანები და ხალხში გათქმული ექიმები გაიციეს, დარწმუნებული ვართ საექიმო მეცნიერებისათვის ბევრს რასმე საყურადღებოს შეიტყობენ.

«ძაკვაზია» სწერენ, რომ ართენის მხარეში მაიორის თარხნი-შვილის მეოხებით დაუჭერიათ გამოჩენილი ყაჩაღი შამილ-ალა თავის ამხანაგებით. მს ყაჩაღი თურმე ოსმალეთის მიწაზედ სცხოვრებდა და ხშირად მთის ბილიკებზედ თავს ესხმოდა

ლების დავიანებაზედ... რა ბევრი გავაჭიანურო, თქვენ უკეთ იცით, ყმაწვილებო, რომ მოსვენება არა გვაქვს, მოსვენება: „იზოვე, მოიტა, მომეცი“, გამოიძახიან ყველანი ჩვენსკენ ამ დაუნდობელ სიტყვებს, ახლა ჰკითხეთ ამ ვაჭბატონებს: რა საშუალებას გვაძლევენ, საიღამ მოვიპოვოთ, რომ მათი შურიანი თვალი გავაძლოთ? ჰქვ, მოვაწყინეთ თავი ყბელობით, მშვიდობით — რაც სალაპარაკო დამრჩა, ზოგი კვლავისთვის იყვეს წამოდგა და ზღაპრით გასწია შინისკენ ჩვენი მოსაუბრე. თუმცა მე და ჩემმა მეგობარმა ყველა ამის ნალაპარაკევი კარგად ვიცოდით და მოწამენიცა ვართ ამ გვარის სურათებისა, მაგრამ მაინც ამ გლენის გრძნობით ლაპარაკი სასიამოვნოდ დაგვრჩა...

სასო ტანხვეული.

ჩვენს სოფლებს და ხარჯს ახდენი-
ნებდა. მანც კი წინააღმდეგობას გა-
უბედავდა, სასტიკი სასჯელი მოე-
ლოდა. შაბილ-ალა თურმე მეფე-
საფით სცხოვრებდა და სტუმრებიც
ხშირად მისლიოდა, მაგრამ არავის
ნება არა ჰქონდა იმის წინ იარაღი
ეტარებინა. მითონ მსამაღეთის აფი-
ცრები და ჩინოვნიკები ხშირად ეს-
ტუმრებოდნენ მას, რასაკვირველია
იარაღ-ახდელით. ართვინის ხალხი
სიხარულით მიჰყვებოდა შაბილის და-
ქერის ამბავს.

«ძასიის» სიტყვით ხელმ-
წიფე იმპერატორის გვირგვინის კურ-
თხევის შუა-პიხილამ გავზენილი
დეპუტატები დაბრუნებულან ძას-
პიის ზღვით თავ-თავიანთ სახლში,
მხოლოდ სამი მათგანი: ნურ-მერდ-
ხანი, ნარესი და ნაზარყული თი-
ლისში წამოსულან მთავარ-მმართვე-
ბელთან თავიანთ ქვეყნის საქიროების
მოახსენებლად.

«ბაქოს შუყებები»-ს სიტყვით
ს. სალომონი იმ კამპანიის მოთავე,
რომელსაც ბაქოლამ ბათუმამდე მი-
ღების გაყვანა უნდა ნათესათვის,
ძალიანა ცდილობს თავის აზრის შე-
სრულებას. სურამის ქედი თურმე
კიდევ გასინჯეს ამ განზრახვითა და
ამ ქედზედ საძველო ალაგი არ და-
უხვდება კამპანიას ძასიის ზღვიდამ
შავ ზღვამდე.

მთავარ - მმართველის თავ.
ღონდუკოვ - ძორსაკოვს წარუდგე-
ნია შინაგან საქმეების მინის-
ტრისათვის აზრი მართლ - მადიდე-
ბელ სასულიერო წოდების გაძლიე-
რებაზედ ძავკასიაში და უწმინდესი
სინოდის კიდევ შესდგომია ამ საქმის
განხილვას.

„დროების“ კორმსკონდენსია.

გზინა, 3 ივნისი. ბატონ-ემბის
გაყრის დრომდე გურიაში გლეხები იყო-
ფებოდნენ არ-ნაწილად: უზსხებად, რე-
მელთაც ეძახდნენ ჯალბას, ე. ი. უზ-
დელს, და მისხური შეიღებდა, რომელნიც
ბატონთან ემსახურებოდნენ. ამას შო-
რის მხლად მისხური შეიღებდა გამო-
დიოდა ათასში ერთი იმისთანა, რომ
წერა-კითხვა მანც ესწავლა. რუსების
შემოსვლიდამ დაწყებულა ემბის გან-
თავისუფლებამდე წერა-კითხვა იცოდა
მხოლოდ თავად-ახნაურობამ და იმ მის-
ხური შეიღებამ, რომელნიც ბატონის ხე-
ბა-ყოფილობით ცდილობდნენ ან ბერად,
ან მღვდლად, ან დიაკვნად შესწავლას. მა-
შინ არც ისე საჭიროებდნენ წერა-კითხ-
ვას, როგორც ესა: როცა ფუფს სეს-
ხულობდნენ და სხვა რამ პირობას სდებ-
დნენ უსწავლენი ხელ-წერილის ბოლოს
ან ჯვარის სასეს დასვამდნენ, ან მელან-
ში ამოსვრილ ხეით დანიშნავდნენ; თუ
ხელ-წერილი არა, მაშინ უჯკაშვად ხელს
გადისომდნენ, იქიდან ერთს ბეწვს ამო-
ღებდნენ და ეტყობდნენ: «ეს უჯკაში მომ-
ხარს თუ არ აგისრულოვო!» ესა ისე-

თი დრო მოგვიდა ვერც «ჯვარის სე-
ხე, ვერც ხეი» და ვერც «უჯკაში» ვე-
რაფერს გვიშველის; ბევრნი საყუთარ
ხელ მოწერად თამასუქსაც კი უარს ჰყო-
ფენ.

სხვათა შორის ამ მიხედვით დაწმუნ-
და ჩვენს ხალხს, რომ წერა-კითხვას და
სახოგადოდ სწავლას დიდი ადგილი უჭი-
რავს გაცობილობის ცხოვრებაში. ამიტო-
მაც არის, რომ ძველი და შუა-კაცები
ძლიერ სწუხან წერა-კითხვის უცოდინს-
ობას და საქმროზე, საცოდროზე ზი-
გულად მუდამ იკითხვენ: წერა-კითხვა
თუ იცისო. ჩვენს ხალხს დღეს უოკელ
ღონის ძიებასა სძარბოს, რომ ხალხი
თაობა მანც დაისხნას წემოსხსენებულ
წუხილას. ესა განათლებისადმი აღტოლ-
გებებს ჩვენში მკვიდრი ფესვები აქვს
გადგმული და არც ერთ საქართველოს
მასწავლებელს იმდენი მდებარე ხალხისაგან
გახსნილი სასოფლო სკოლა არ არის,
რამდენიც გურიაშია; არსად ვაკვასიის
საქალაქო სამ კლასიან სასწავლებელში
იმდენი შეგირდები და იმდენი ქართვე-
ლობა არ არის, რამდენიც ოსურგეთის
სამ კლასიან საქალაქო სასწავლებელში;
აქ შეგირდების რიცხვი აღემატება სო-
გიერთ გიმნაზიის შეგირდების რიცხვსაც
(განჯის გიმნაზიაში ძლიერს სამასამდე
შეგირდა, აქ-კი ამ რიცხვს აღემატება.)
ახლა შეხედეთ აქურს სასულიერო სას-
წავლებელში: ეს ღვთის სახლი სულ გან-
კვედილია უმაწილებით, არა მარტო
მღვდლის შეიღებით, არამედ გლეხების
შეიღებითაც; შეხედეთ ახლად გახსნილ
საქალაქო სასწავლებელში, სადაც განს-
ნისათნავე ოთხმოცამდე ქალები მოგ-
როდენ და მწავლან, ჩვენს სამწუხაროდ,
უადგილობისა გამო, უარი უთხრეს. აქ,
სადაც ხუთს შატრას ქალს ვერ ნახავდით
ერთად, შეუერთათ თავი არა შატრებს,
არამედ გასათხორცებსაც და მათი შე-
ხედვა გაკეთილის ადნის დროს მშვე-
ნერს სურათს წარმოადგენთ: ისინი
ჩამწვრილებულნი და ხმა გაკემდილნი
შეხურობენ განკითარებულს მასწავლებელს,
ასე გუგონებთ: ეს არის პირიდან სიტუ-
გას გამოგვგვანო. ახლა წამოვეთ სოფ-
ლებში: იქ ნახეთ, რომ გლეხს ხელ-
მარტოდ მუშაობა არ დახარება, ოღონ
თავის ერთად ერთი შვილი სასწავლებელ-
ში შეეყვანს, უკლას საზოგადოებაში გლე-
ხების ფულთი დაარსებული სასწავლებე-
ლი შეგირდებით გაკვედილია. ეს არის
გურიაში, ახლა თვალი გადავავლოთ ქუ-
თაისის და თბილისის სასწავლებლებს,
სადაც ბევრი გურული სწავლობს, და-
რბი თუ მდიდარი, ქალი თუ კაცი.

რადგან ჩვენში სწავლის სურვილი ასე
დამკვიდრებულია, ჩვენ ახლა დიდს ნაბი-
ჯით უნდა მივისწრაფებოდეთ განათლე-
ბისადმი, მაგრამ ჩვენს გლეხობამ ჩვეუ-
ლებრივი ნაბიჯიც რომ გადადგას, რა-
ღაც ისე დასწევს რომ ხუთ ნაბიჯს
უკან გადმადგებიან და ათქმევიანებს
ჩვენს გახენში დემოთი არ ურკვიაო!
წარმოადგინეთ, რა ძნელია გლეხისათ-
ვის ის დრო, როცა ის ბედ-კრული,
გულ-ხელ დაკრეფილი და გულ დამწვარი
ბრუნდება სახლში თავის შატრას კავით,
რომელიც სასწავლებელში, უადგილობის
გამო, არ მიუღიანთ და რომელსაც ცრემ-

ლების დენით თვალები დასწითლებია; ან
ის დრო, როცა განსარბულს და დაი-
მედებულს მამას, რომ მის მდგომარეო-
ბას უუ-ადლებს მიჰქევენ ან მასწავლებ-
ლები, ან ქალაქის საზოგადოება და მის
შვილს მისცემენ საშუალებას განაგრძოს
დაწყებული სწავლა, შინ უბრუნდება სკო-
ლაში დატოებული ბეჭითი და ნიჭი-
რი შვილი, უფულობის გამო სასწავლებ-
ლიდან გამოგდებული!

ამ სწავლას განათლების სურვილს ად-
გილობრივი მთავრობა თითქმის არაფე-
რით. ესმარება ან ამისი ორი მაგალითი:
სოფელს დაბნულში ორი წელიწადია რაც
კარგის სასწავლებლის საშენებლად მო-
ემზადენ, მაგრამ ეს ხალხის სურვილი
დღესაც არ არის ასრულებული. ს. შე-
მოქმედში ხალხს დიდი ხანია უნდოდა
უფარგის სასწავლებელი გადაეკეთებინა
და შეკრული ფული თორმეტი თემს-
ნი სასკოლმდგანელ ნივთების მოსაშოებ-
ლად მოემზადა, მაგრამ დღესაც მიჭფ-
რისავე ეს არა. რატომ? ვადეო იმიტომ
რომ ადგილობრივი მთავრობამ და აგ-
რუთვე ვისიც რიგი იყო ამ ხალხის კე-
თილს განზრახვას უურადლებს არ მიჰქ-
ციას.

ახლა თავად-ახნაურობას და მოქალა-
ქობას გადავავლოთ თვალი: როგორც
მოქალაქეთა, ისე თავად-ახნაურობის
შორის განათლებისადმი აღტოლილება,
რასაკვირველია, უფრო აღმრულია ვიდრე
გლეხებში, მაგრამ არც ერთი მათგანი-
კი არაფერს ფიქრობს ამ სასწავლებელ-
ზედ, სადაც შვილები ეხდებოთ. უმეტეს
ნაწილად, თავად-ახნაურობის შვილები
პირველ დაწყებით სწავლას ებუფობენ
სასოფლო სასწავლებელში, და იმას-კი
არა ჰფიქრობენ ეს დალოცვილები გლე-
ხებს დახმარება აღმოუჩინონ რამე სას-
წავლებლის გადაკეთებაში ან ხეიარან
მასწავლებლის დაყენებაში.—მოქალაქეები,
რასაკვირველია, როგორც სხვა ქალაქე-
ბის სოფელში, უკლასზე მეტად უნდა ზრუ-
ნადენ საქალაქო სასწავლებლისათვის,
მაგრამ ეს სასწავლებელი იმისთანა სამ-
კელ შენობაშია, რომ იქ სწავლა-სწავ-
ლება-კი არ არის მოსწავლეთა და მის-
წავლებელთა წვალბა.—მოქალაქეების
საქმეს აგრეთვე ღონის-ძიება იხმარონ
საშუალების მოსაშოებლად, რომ ჩვენი
ახლად გახსნილი საქალაქო სასწავლებე-
ლი არა დროებითად იყოს გახსნილი
არამედ სამუდამოდ დამკვიდრებული. მაგ-
რამ ეს ვის უნდა მოუხსოვოთ, რო-
დესაც ქალაქის საქმე ჩვენსაგანთ ხელში
შოლიციის ჩინოვნიკებს და ქალაქის დე-
პუტატებს, რომელთაც ისე მიჭყვით საქ-
მე, როგორც უნდათ და ერთი განათლე-
ბული ახლა გავსა ქალაქის საქმეებში
არ ერკვას.

ჩვენს ქალაქის დეპუტატებს დიდი
მოკვლეობა კი აუღიანთ და ამითვის
კი ვინც ისინი წინამძღოლად ამოირ-
ჩიან, არაფერს აკეთებენ: არ იციან რა
შემოსავალი და რა ხარჯი აქვს ქალაქს;
არ ზრუნავენ არც ერთს ჩვენს სასწავ-
ლებელზედ; ისინი პატრებს სცემენ და
სხვა-და-სხვა ნივთებით საჩუქრებს იმის-
თანა პირს, რომელსაც სულით და გუ-
ლით «ჩვენი» დაჩაგვრას სწავდნენ!
უკანასკნელად ვისურვებთ, რომ მთავ-
რობამ მიჰქციოს უურადლება ამ ხალხის


სწავლისადმი მსტიყნისადმი აღტოლილებას
და დაისხნას ხეინი ქალაქის ცენტრში
საზოგადოება უმეტესობისაგან. ვისურვებთ,
რომ ჩვენს სამ კლასიან საქალაქო სას-
წავლებელს მავრად გავკვსინას, ან
პროგიმნაზიას, ან რეალური სასწავლებე-
ლი, ან არა და თით ამ სამ კლასიან
საქალაქო სასწავლებელში დაასრულეს ემე-
ლს კლასებში შარალეული განყოფი-
ლებანი; რომ უოკელ სკეტემბერში ბედ-
რულს მამებს უსწავლელი შვილები უკან
აღას უბრუნდებოდნენ!

გ. ბურჯულიძე.

სოფელი ალი (მართლი), 9 ივნისი.
მკითხველთ ეცოდინებთ წრეკანდელ-
მა წელიწადმა როგორ შეაწუხა ხალ-
ხი ფულის სიძვირით. ჩვენს სოფელ-
შიაც ასე ერთ გლეხს ვერა ნახეთ,
რომ სარჩო არ დაჰკლებოდეს. ამ
უბედურებასთან ერთმა ამ სოფლის
ვაჭარმა გამოიგონა ხალხის პირველ
დამახობელი საშუალება: ეს ვაჭარი
გახლავთ «შულო შულიჯანოვი». ამან
მოიყვანა ერთი იმერელი, და-
არქვა «მკითხავი», დასვა თავის სახლ-
ში, შეატყობინა ამ სოფლის მცხოვ-
რებლებს, რომ მუნჯი მკითხავი მო-
ვიყვანეო, მოუსვა გადამთარგმნელი,
რომელსაც «მუნჯი» თითებით ანიშ-
ნებდა და ეს გადამთარგმნელიც ატ-
ყობინებდა მოსულ ხალხს იმის აზ-
რებს.

ამ ვაჭარმა დაჰყარა საზოგადოება-
ში ხმა, ვითომც ეს მკითხავი მომ-
კვდარიყოს და სამს დღეს უკან გა-
ცოცხლებულიყოს; ამისათვის ღმერთს
მიეცეს იმისთანა ნიჭი, რომ ყველას
შეთუტყოს მათი წარსული და მომავა-
ლი. საბრალო და უმეცარი გლეხ-
ნი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კა-
ცი, დაედვენ თავს ამ მკითხავსა, ისე
რომ ახედვა არა ჰქონდა; ყველა თეი-
თეულს სამკითხავში აძლევდა თითო
მანეთს და ამასთანავე სახლის პატ-
რონს ფეშქაშობდა ყველს, ერბოს,
ქათამს და ინდაურს, რომ შულიჯა-
ნოვს ეშუამდგომლა თავის მოყვანილ
მკითხავთან და საჩქაროდ გაესტუმ-
რებინა. ბევრს არა ჰქონდა მანეთი
სამკითხავო, მაგრამ შულიჯანოვი შეე-
ლიდა მას შემდგვის პირობითა: მის-
ცემდა ერთს მანეთს, ამაში დაიკეთ-
და ერთ კოდს პურსა, ჩამოართმევდა
თამასუქს, რომელშიაც დაუწერდა
რომ ამ თავით მისცა ერთ კოდში
შვილი მანეთი, კიდევ ჯარიმის ქა-
ლალდა რომ თუ დანიშნულს ვადა-
ხედ ფულს არ მისცემენ, თვითფულს
გარდაცილებულს დღეზედ ათ-ათ მა-
ურს ჯარიმას იხდიან. ამ გვარ პი-
რობებს უმოწმებდა ადგილობრივი
მამასახლისი, თავისივე ძმა. ამ გვარის
მოტყუებით გაიღწეწენ ამ სოფლის
გლეხები ასე რომ წრეკანდელი მო-
სავალი მათ არ უხარიათ.

შეადლოთ ღმერთმა ადგილობრივ
ქართულის და სომხის მღვდლებსა,
რომელთაც ყოველივე ღონის ძიება
და საშუალება მიიღეს, რომ მოეს-
პოთ ამისთანა მოტყუილებით ხალხს
ყველთა, გამოუტყადას ადგილობრივ



მამასახლისსა, — განეზღვრებინა ამისთანა მატყუარა და მანვე პირი ამ საზოგადოებრივად და აღეკრძალა თავის ქმისთვის მისი სახლში შენახვა. **თუმცა** აღვილობრივმა მამასახლისმა არ მიიღო პატივდებამი მღვდლების განცხადება, მაგრამ მეორე საშუალება იპოვეს, იმ დღევე გაეკანტენ სურამის პოლიციის პრისტაფთან, გამოუცხადეს რომ თუ იგიც არ მიაკეთებს ამით განცხადებას ყურადღებასა, იძულებული იქნებიან მართონ უმაღლეს მთავრობასა. პრისტაფმა მიიღო პატივდებამი მღვდლების თხოვნა და მაშინვე გამოატანა ბრძანება თავის ჩაუარს მამასახლისთან, რომ «მკითხავი» დაჭერილი წარედგინა.

მიღებისამებრ ბძანებისა მამასახლისმა შეასრულა იგი და ამ მაისის 22-ს წარუდგინა ბატონმა პრისტაფმა პროტოკოლთან ერთად ეს მკითხავი სურამის მსაჯულსა; დაინიშნა საქმის გარჩევა 24-ს მაისს. ბევრი ღონისძიება მიიღო მსაჯულმა მუნჯი აელაპარაკებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს მოიწვია ლაზარეთიდან ექიმები; გამოცხადდნენ თუ არა ესენი მკითხავს ფერი გადაჰკრა; ექიმებმა გასინჯვის შემდეგ მოსამართლეს უთხრეს, ჩვენ წამალს დავალევივით და ეხლავე ლაპარაკს დაიწყობსო. მკითხავს წამლის დალევისა შემინდა და თავისითვე ლაპარაკი დაიწყო. მოსამართლემ გადაუწყვიტა ამ მკითხავს ექვსი თვე დაჭერა და სასამართლოდ განეცხადებინა საპროკურობაში გაგზავნა. ამ გარდაწყვეტილებამ კარგი შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზედ. შრიგო არ იქნებოდა ბატონს პოლიციის პრისტაფს მიეცა პასუხის-გებაში მკითხავის ამხანაგი და მომყვანი პულიოჯანოვი, დამფარავი და მცველი ამ დამნაშავესა, რომლის შემხედველნი შემდეგში ველარ გაბედავდნენ ამ რიგად ხალხის დაბრკელებას.

ამ საქმის მაყურებელთაგანი.

განცხადება

თბილისის საობლო სასამართლოს, (сиротский судъ) რადგანაც ცხრას ივნისს ცეცხლი მოეკიდა და ყველა საქმეები დაიწვა, სურს შეკრიბოს და სისრულეში მოიყვანოს ყველა საქმეები; ამისათვის უმოზრინოსად სთხოვს ყველას, ვინც აპყუნათ, ანუ ობლებს მზრუნველათ არის დანიშნული, წარმოუდგინოს საობლო სასამართლოს ყველა ის უქაზები ანუ სხვა წერილობითი განკარგულება, რომელიც ამ სასამართლოდან მისვლიათ, აგრეთვე კოპიოები აპყუნობის ანგარიშებისა, ნუსხა ობლების ქონებისა და მოხსენება ვის რამდენი ობლების ფული აქვს და სხვა ყველა ცნობები, რომელნიც საჭირონი არიან საობლო სასამართლოსათვის, რომ კანონიერად შეეძლოს წაყენა სააპყუნო საქმეებისა.

საობლო სასამართლო ამით აცხადებს, რომ პირველს ოქტომბრამდე ამ წლისა მოუდგება ძველი სააპყუნო საქმეების სისრულეში მოყენას და არც ახალი აპყის საქმეები იქნებიან შეყენებული.

ძანცელიარია სასამართლოსი იმყოფება ეხლა ქუჩაში, რუტოვის ქუჩაზედ, შედროვის შესახვევში, რეალურ გიმნაზიის ახლო, ჩინოვნიკი მრზინკოვის სახლში № 9.

არზეები და მთხოვნელები მიიღება 10—12 საათამდე.

თავმჯდომარე საობლო სასამართლოსი (3—2) ნ. შანშიევი.

ახლად გაბეჭდილი ბიუსტი

უფთხ რუსთაველის

(დამწერი ვეფხვის - ტელონისა).

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში თბილისს.

შასი ო. რ. ი. მანთოი.

(3—2)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50

საუგეთესო 2— „ — — 3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რეკოლეკრები, ვრატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დაწები, კოვზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—გაცის და ქაღის, სელ-სახოცები, მაკინტოშინ კაღეკორი — სულ ყველაფერი 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაჲ მაღაზიაში.


ვინც ქაღაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—91)

იაფად ისყიდება:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ. 5000 ბროლის სტაქნები 25 კ. თითო. 600 დანა-ჩანგლის დასადები

10 კ., 3000 ოზმა ფოსტის ქაღალდი 1 მ. 20 კ. დიდ ძალი ჩაი 1 მოკრეფისა 1 მ. ნამდვილი ჭურჭელი 2 მ. ვარე. და ბროლის გრაუნკები ინგლისის მაღაზიაში. (10—9)

ინგლისური ჩაინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს

მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე. ჭურჭელი, დასახინგალი, კოვზები, ფანდოსები, კლიტები, საფანგები, რეინის კაღები, ქაღალდი, ნიხები, რეკოლეკრები, თოფები, გაცისა და ქაღის უნაგირები, ალბომები, კლეიონკები, ჩაი 1-ღის ხარისხისა. (100—76)

უმაღლეს კურსმავალ.

მოსწავლე ქალი ეძებს ზაფხულის განმომავლობაში გაკვეთილებს თბილისში.

მოიხავეტინსკის ქუჩა სახლი № 78. (8—8)

ინგლისის მაღაზიაში

თმის - არომუზანი

ამაგრებს თმს და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., ვაგზავნით 2 მანეთი და 28 კან.

(100—90)



გაპ - მასტარი

იქვე ისყიდება ქინის ჰომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სნოტკები თავის ტყაველის მისასმობლად, ტუაღეტის საპონი, დუსები და სხვ.

უპაღეკი

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით მძათა ტარნოპოლების ქარხნის ადგის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ. ნარდათ შეიდეკლთ დაქომობათ. (40—22)

საკლავო სესო კალმები

რომლებითაც შეიდეკება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა ვერისა კალმები, ფოკელს „სელისათვის“ — 25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მუღანი, ქაღალდი, კანკერტები, რეკოლეკრები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კაღები, ბუმაყინიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღესი, წარამკები ჭურჭლების საწყობად (ბორაკისა), თეთრეულისათვის, პატარა ხაღები აიტავისათვის კლეიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუშქონი, წარები, ბინოკლები რუღეტები, ვატრეპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ტეკები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ჰომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, სპრობკები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტის მაკინტოშები, კრავები, საყქიმო ქაღალდი ვატრ-კლავოტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ.

(100—28)

რეინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 9 საათზედ და 46 წამ. დილით. თბილისიდან ხაშურამდინ 2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 1 საათზედ და 1 წამ. ღამისა. ბაქოდგან თბილისისკენ 9 საათზედ დილისა. რიონიდან თბილისისკენ 2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდან თბილისისკენ 9 საათ. დილისა. ფოთიდან თბილისისკენ 9 საათ. და 41 წამ. დილისა. ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 12 საათზედ ღამისა. ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 8 საათ. და 46 წამ. დილისა.